

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები საქართველოში

მაგისტრანტი: ნაზი ყველაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაზი ყველაშვილი

26.06.2016

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის არსი საქართველოში და მისი მიზანი. კვლევის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის და მიღწეული ცვლილებების შედეგების ანალიზი. ნაშრომში განხილული იქნება რეფორმის, როგორც აშკარა წარმატებული ნაბიჯები, ასევე, ის გამოწვევები და სირთულეები, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, პრაქტიკული განხორციელებისას არსებობს.

ნაშრომი შედგება 3 ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი თეორიული ხასიათისაა, რომელიც ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა. წარმოდგენილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განვითარება საქართველოში საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღემდე. ნაშრომში განხილულია არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანი, მისი სახეები და ალტერნატიული მექანიზმები, შედარებულია საბჭოთა კავშირის პერიოდთან; ასევე, განხილულია სოციალური მუშაკის როლის წარმოშობა სასჯელადსრულების სისტემაში; მათი მუშაობის სპეციფიკა სასჯელის სახეების და ალტერნატიული მექანიზმების გათვალისწინებით. ასევე გაანალიზებულია ქართული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები.

მეორე ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა. გაანალიზებულია ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ნედლი მონაცემები.

მესამე ნაწილში მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები. ასევე წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურა.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივ კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია ექსპერტული გამოკითხვა და დოკუმენტების ანალიზი.

კვლევა აქტუალური იქნება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხების შესწავლით.

## **Abstract**

In this work is discussed the essence of the juvenile justice reform in Georgia and its aim. The objective of this research is the analyses of the politics of juvenile justice and results of the achieved changes.

In the work will be discussed obvious successful steps of the reform as well as challenges and difficulties exist while practical implementation in juvenile justice system.

The work consists of three main parts. The first part is theoretical. It is the review of literature where the juvenile justice reform in Georgia is represented.

Here it is represented the history of the development of the juvenile justice reform since Soviet Era till today. In this work it is discussed the goal of sentences assigned for juveniles, types and alternative mechanisms of them. They are compared to Soviet Era.

In the work it is also discussed how the role of social worker in the penitentiary system originated, the specifics of social workers job considering types of sentences and alternative mechanisms of them.

In this work it is also analyzed Georgian legislation and international standards. The second part is a practical work. There is a soft information and data from expert interviews and evaluation.

The third part is the conclusion and recommendations, also is represented reference of the used literature materials. The research is based on qualitative methods, using expert interviews and analysis of documents. Current research will be useful for the people who are interested in studying juvenile justice issues.